ხელშეკრულება №06

„16“ თებერვალი 2021წ. ქ.გორი

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

1.1 “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტისა და 2015 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის “ა” პუნქტის თანახმად, ერთი მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (მისამართი: ქ.გორი, ფერაძის ქ. №5) სახელმწიფო რწმუნებულის მამუკა საღარეიშვილის სახით და მეორე მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/შემსრულებელი**) შპს „ორისი“ (მისამართი:ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12ბ) მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებების (CPV722) შესყიდვა, კერძოდ ORIS ბუღალტერიის (A01S/U- 1 მომხმარებლიანი, 1 ვალუტიანი) პროგრამის განახლების მომსახურების შესყიდვა. (CPV72267)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 237 (ორასოცდაჩვიდმეტი) ლარით.

4. სამუშაოს შესრულების ეტაპობრივი ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია თანხის გადარიცხვა განახორციელოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად,

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს შესრულებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება და/ან არაჯეროვნად შესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა დაუძლეველი ძალით. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან და მოქმედებს 2021 წლის 15 აპრილამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

13.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის აპარტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე - მაია სამნიაშვილი.
13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14.სალიცენზიო პირობები

14.1 საავტორო უფლება.
კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.
14.2 სალიცენზიო უფლებები.
პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.
14.3 უფლებების გადაცემა
თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.
14.4 შეზღუდული გარანტია
მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შემენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.
14.5 გარანტიების არარსებობა
პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.
არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
15.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
15.5 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი: გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტარცია,
სახელმწიფო რწმუნებული
მამუკა საღარეიშვილი
(შემსყიდველის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა

საბანკო რეკვიზიტები
შემსყიდველის ბანკი: საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE24NB0330100200165022
საინდეტიფიკაციო კოდი: 217889514

ADMINISTRATION OF THE STATE REPRESENTATIVE IN GORI KASPI KARELI KHASHURI MUNICIPALITIES

Digitally signed by ADMINISTRATION OF THE STATE REPRESENTATIVE IN GORI KASPI KARELI KHASHURI MUNICIPALITIES
Date: 2021.02.16 10:02:29 +04'00'

მიმწოდებელი: შპს ორისი
დირექტორი დავით გოთოშია
(მიმწოდებელის სახელი, გვარი, თანამდებობა)

ხელმოწერა

Ltd ORIS

Digitally signed by Ltd ORIS
Date: 2021.02.16 10:23:14 +04'00'

საბანკო რეკვიზიტები
მომწოდებლის ბანკი: სს „საქართველოს ბანკის ფილიალი“
კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE88 BG00 0000 0120 1216 01
საიდენტიფიკაციო კოდი: 206033754

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი „16" თებერვალი 2021 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვისთვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებული — შალვა სანდარეიშვილი

GEORGIA, ADMINISTRATION OF THE STATE REPRESENTATIVE IN KASPI, KARELI, KHASHURI MUNICIPALITIES
21788951

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე — მაია სამნიაშვილი

გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის
აპარატის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი — გვანცა ცომაია